Nugzar Zosidze
E-mail:n.zosidze@bsu.edu
Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi, Georgia
ORCID ID: *0000-0003-2613-3365*

THE FINAL STAGE OF THE FIRST WORLD WAR AND THE POLITICAL SITUATION IN GEORGIA IN 1917

Abstract. *1914-1921 is one of the most difficult periods in the history of Georgia. During this most difficult period, the country endured the stormy days of the Russian February Revolution of 1917 and the October revolutions. But with self-sacrificing battles and courageous actions of national forces, independence was restored. These years were even more painful from the point of view that certain regions of the country experienced the occupation of foreign countries several times.*

The topic of the history of the research period has become especially relevant since the beginning of the 90's of the twentieth century. However, many details and features of these relationships have not yet been fully investigated, fully studied and scientifically substantiated.

After the heavy political battles that developed in the Russian Empire in 1917, the social democrats became the vanguard of the national liberation struggle in Georgia, but at first they did not raise the issue of restoring national sovereignty. This could be due to the fact that at that time the political parties operating in Georgia had difficulty making independent decisions. It is true that the revolution forced Russia to give up active foreign policy, but it tried to interfere in the affairs of Transcaucasia.

This is what led to the fact that social democrats and social federalists did not fight for national independence, but were satisfied only with broad autonomy, the legalization and practical implementation of which should be decided by the constituent assembly of the Russian Provisional Government. We share with the famous researcher of Georgian history historian Z. Avalishvili's opinion that at that stage, "no one thought of severing the state connection with Russia; Just as they didn't think about it in Estonia, Latvia and other parts of Russia. In this regard, it can be said that Georgia was on par with others''.

The small group of Georgian intellectuals, which was formed into the National Democratic Party in 1917, represented an important force in the national liberation struggle. They directly continued the program of the previous national liberation movement called „Tergdaleulebi" and considered the 1783 treaty as the basis of the relationship. (G. Dekanozishvili, T. Sakhokia, P. Surguladze, L. Kereselidze, G. Machabeli and others).

In connection with the mentioned issue, Professor Sh. Vadachkoria thinks that it is the correct political orientation of the social democrats that led to the restoration of Georgia's state independence. "Georgia's independence, renewal and perfection of its statehood and Georgian social democracy are inseparable from each other". We partially agree with the above-mentioned opinion and consider that it is wrong to ignore the contribution of the Social Democratic Party in this case.

On October 25, 1917, the Bolsheviks overthrew the Provisional Government in the capital of the empire. On October 26, members of the Provisional Government, including Kerensky, were arrested in the Winter Palace. A Soviet government was established in Russia. After this coup d'état, the Transcaucasian de facto government, "Ozakom", lost its purpose. The missions of the Entente states wanted to create a government independent from Bolshevik Russia in Transcaucasia.

We think that the creation of the Transcaucasian Commissariat was a politically correct step, since Transcaucasia was officially separated from Soviet Russia by the creation of a new regional body,

but only until the restoration of the legal authority of Russia, which was an indication that Transcaucasia would not be declared an independent state. It was not favorable for Transcaucasia to remove the Caucasus Front, because otherwise it might lead to the strengthening of aggression from Turkey, and the forced occupation of Transcaucasia countries.

Key words: *Transcaucasia geopolitics; social federalists; National Democrats; Transcaucasian Commissariat.*

JEL classification: *B1, B5*

ნუგზარ ზოსიძე
E-mail:n.zosidze@bsu.edu
ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
ORCID ID: *0000-0003-2613-3365*

პირველი მსოფლიო ომის დასკვნითი ეტაპი და პოლიტიკური ვითარება საქართველოში 1917 წელს

აბსტრაქტი. *საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია 1914-1921 წლები. ამ უმძიმეს პერიოდში ქვეყანამ მძიმედ გადაიტანა რუსეთის 1917 თებერვლის რევოლუციისა და ოქტომბრის გადატრიალების ქარცეცხლიანი დღეები. მაგრამ თავგანწირული ბრძოლებითა და ეროვნული ძალების გაბედული მოქმედებით აღიდგინა დამოუკიდებლობა. კიდევ უფრო მტკივნეული იყო ეს წლები იმ თვალსაზრისითაც, რომ ქვეყნის ცალკეულმა რეგიონებმა რამდენჯერმე განიცადა უცხო ქვეყნების ოკუპაცია.*

საკვლევი პერიოდის ისტორიის თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან. თუმცა ამ ურთიერთობების მრავალი დეტალი და თავისებურებანი, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოკვლეული, ბოლომდე შესწავლილი და მეცნიერულად დასაბუთებული.

როგორც ცნობილია XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო რუსეთის იმპერიის კრიზისი. კორუფციაში და ბიუროკრატიულ ჭაობში ჩაფლული იმპერია უკანასკნელ წლებს ითვლიდა. ამის გამოვლინება იყო ,,მანჯურიის ომის" სამარცხვინო წაგება იაპონიასთან 1905 წელს.(რუსეთ-იაპონიის ომი- ნ.ზ.) და იმავე წელს დაწყებული რევოლუციური გამოსვლები. მართალია იმ ეტაპზე რუსეთის თვითმყრობელური მთავრობა გადაურჩა კატასტროფას, მაგრამ ის არ ამოსულა ღრმა კრიზისიდან და კვლავ აგონიაში იმყოფებოდა. ერთ-ერთ რეალურ გზად კრიზისიდან თავის დაძვრენისა განიხილებოდა ომი. ამიტომაც ნიკოლოზ II გადაწყვეტილება რუსეთის იმპერიის ჩართვა I მსოფლიო ომში რაღაც დოზით პრესტიჟის საქმედაც მიიჩნეოდა. რუსეთი ანტანტის ბლოკში შედიოდა. ამით ის დაუპირისპირდა გერმანიის კავშირს (ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, იტალია და ბულგარეთი). 1917 წლის თებერვალში რუსეთში განხორციელდა რევოლუცია, რომელმაც დაამხო თვითმყრობელობა და პირველად ქვეყნის ისტორიაში, ხელისუფლების სათავეში გზა გაუხსნა ხალხის

წარმომადგენლობას. ეს რევოლუცია მოხდა უეცრად, პეტროგრადის (პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ეწოდა სანკტ-პეტერბურგს) სამხედრო გარნიზონის ჯარისკაცთა თაოსნობით, ისე, რომ არცერთი პარტია ასეთი გადატრიალებისათვის მომზადებული არ ყოფილა. მას არავინ ელოდა, არავინ ამზადებდა. რევოლუციის მოულოდნელი წარმატება ბევრად განსაზღვრა რუსეთის დამარცხებებმა I მსოფლიომ ომში და სამეურნეო ნგრევამ.

მეთოდოლოგიური მიდგომა: *სტატიის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალები, პუბლიცისტური წყაროები, ამ საკითხებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და ჩვენი კვლევის შედეგები. თეორიულ და ემპირიულ მასალებზე დაყრდნობით განსაზღვრული კვლევის კონკრეტული და ზოგადი მეთოდები მიზნად ისახავს კვლევის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.*

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები: *ნაშრომის თეორიულ- მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება. ძირითადი პრინციპებია: ყოველმხრივობა, სისტემატურობა, ობიექტურობა, ისტორიული, ლოგიკური და დიალექტიკური განვითარების ერთიანობა. კვლევის ძირითადი მეთოდებია: ქრონოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი, რეტროსპექტული, პოლიტიკური ანალიზისა და წყაროთა პრიორიტეტულობის დადგენის ხერხები.*

საკვანძო სიტყვები: *ამიერკავკასიის გეოპოლიტიკა; სოციალ-ფედერალისტები; ეროვნულ დემოკრატები; ამიერკავკასიის კომისარიატი*

JEL კლასიფიკაცია: *B1, B5*

პირველი მსოფლიო ომი რუსეთის იმპერიისათვის წარმოადგენდა სერიოზულ გამოწვევას. რუსეთის იმპერია, რომელიც ბევრად ჩამორჩებოდა ეკონომიკური და სამხედრო განვითარებით გერმანიას უკიდურესად მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. ნიკოლოზ II ვეღარ უმკლავდებოდა სიტუაციას და მალე იძულებული გახდა გადამდგარიყო და ტახტი თავისი ძმისათვის დაეთმო, თუმცა დიდმა თავადმა მიხეილმა საიმპერიო ძალაუფლებაზე უარი განაცხადა, რითაც ლეგალურად (მის მიერ მომზადებული პროკლამაციით) უფლებამოსილება მიანიჭა დროებით მთავრობას მანამ სანამ კონსტიტუციური ასამბლეა გადაწყვეტდა რუსეთის მმართველობის ფორმას. დროებითი მმართველობის მოვალეობა იყო არჩევნების მოწყობა ასამბლეისთვის, თუმცა მისი ძალაუფლება პეტროგრადის საბჭოების მზარდი ავტორიტეტის გამო შეზღუდული იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან საბჭოები დროებით მთავრობას უჭერდნენ მხარს, დროთა განმავლობაში ისინი მოწინააღმდეგეებად იქცნენ. ვინაიდან საბჭოები არმიას, ქარხნებსა და რკინიგზას აკონტროლებდნენ, ასევე მუშების მხარდაჭერაც ჰქონდათ, ამ პერიოდში ხელისუფლება გაორებული იყო(ზოსიძე ნ. ,,პოლიტიკური ვითარება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში'' : 9).

1917 წლის 23 თებერვალს რუსეთის დედაქალაქის მცხოვრებლებმა დაიწყეს დემონსტრაციების მოწყობა. იმავე წლის 26 თებერვლიდან ჯარის ნაწილებმა დემონსტრანტების

მხარეზე გადასვლა დაიწყეს. დემონსტრანტებს არც პოლიცია უწევდა წინააღმდეგობას და მალევე პეტროგრადი (ეს სახელი მას ეწოდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, იქამდე ჰქვიოდა სანკტ-პეტერბურგი) მათ ხელში გადავიდა.

ამ დროს ნიკოლოზ II ფსკოვში იმყოფებოდა. 1917 წლის 2 მარტს მეფეს ფლოტის სარდლებმა სთხოვეს ხალხისა და ჯარის დაწყნარების მიზნით გადამდგარიყო და მეფეც გადადგა. იმპერატორი დათანხმდა ტახტი გადასცემოდა მის ძმას მიხეილ რომანოვს. მაგრამ მიხეილმა, ხალხთა მასების ფართო პროტესტის ვითარებაში, ტახტისაკენ ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა დამფუძნებელი კრების თანხმობის გარეშე. ძმებმა მთავრობის ფორმირება თავად ლვოვს მიანდეს.

2 მარტს პეტროგრადში შეიქმნა დროებითი მთავრობა. მის შემადგენლობაში შევიდნენ გ. ლვოვი (თავჯდომარე), ოქტიაბრისტი ა. გუჩკოვი, კადეტი პ. მილიუკოვი და ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლები: შინგარიოვი, ნეკრასოვი, კონოვალოვი, ტერესშჩენკო, მანუილოვი და ესერი ა. კერენსკი. ეს იყო "ბურჟუაზიისა და გაბურჟუებულ მემამულეთა" მთავრობა, ასე რომ, თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში შეიქმნა მეტად სპეციფიკური ვითარება, დამყარდა ორხელისუფლებიანობა. ეს იყო ორი დიქტატურის მეტად თავისებური, ორიგინალური გადახლართვა – ბურჟუაზიის დიქტატურისა და პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურისა. ორხელისუფლებიანობის დიდი ხნით შენარჩუნება ყოვლად შეუძლებელი იყო. ქვეყანა ან უნდა წასულიყო წინ, ე. ი. რევოლუციის გაღრმავებით მთელი ძალაუფლება საბჭოების ხელში უნდა გადასულიყო ან რევოლუცია უნდა დამარცხებულიყო და მთელ ძალაუფლებას ბურჟუაზია დაპატრონებოდა. რატომ მოხდა, რომ რევოლუციის შემდეგ, რომლის შემოქმედს მუშები და ჯარისკაცები წარმოადგენდნენ, ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიის წარმომადგენლები მოექცნენ? ეს საკითხი უამრავი ინტერპრეტაციით მუსირებს პოს - საბჭოურ რუსულ ისტორიოგრაფიაში. მრავალ მკლევართა აზრით ძირითადი მიზეზი რუსეთის წვრილბურჟუაზიული ხასიათი იყო. რევოლუციამ უეცრად დაამსხვრია ცარიზმის ჯებირები და გზა გაუხსნა წვრილბურჟუაზიულ ტალღას, რომელმაც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, "წალეკა ყველაფერი, ჩახშო შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც, ე. ი. მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე" (ლენინი ვ,ი., თხზ., ტ. 24: 53). ვფიქრობთ ეს მოსაზრება რაღაც ნაწილში მისაღებია.

ეხლა განვიხილოთ თუ რა მდგომარეობა იყო საქართველოში!? თებერვლის რევოლუციის წინა დღეებში საქართველოში ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო. ამ ვითარებაში კავკასიის ადმინისტრაციას საიდუმლოდ ეუწყა თვითმპყრობელობის დამხობის ამბავი. რევოლუცია საქართველოში კიდევ უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე რუსეთში. ახალმა მეფის ნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვმა და მისმა უმაღლესმა მოხელეებმა 28 თებერვლს უკვე იცოდნენ პეტროგრადში განხორციელებული გადატრიალების შესახებ, მაგრამ ყველა ზომას იღებდნენ, რომ ეს ცნობა ხალხისათვის დაემალათ და მხარეში სიმშვიდე შეენარჩუნებინათ. მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროს გენერალ ალექსეევისაგან მიიღო პირველი დეპეშა პეტროგრადში რევოლუციის დაწყების შესახებ(Красный архив, 1927, т. XXI: 22-27). მომავალი უმაღლესი მთავარსარდალი ენერგიულად შეუდგა ამიერკავკასიაში ყველა ღონისძიების გატარებას,

რომ არ დარღვეულიყო "სიმშვიდე და წესრიგი, შენარჩუნებულიყო მოქმედი არმიების ერთგულება ფიცისა და სამხედრო ვალდებულებებისადმი". 29 თებერთვლს მეფისნაცვლის თანაშემწის გენერალ ორლოვის ხელმოწერით კავკასიის გუბერნატორებს დაეგზავნათ დეპეშები, სადაც, პეტროგრადში ახალი მთავრობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დასახული იყო მოქმედების გზები. მეფისნაცვალი გუბერნატორებს ავალებდა წესრიგის დაცვას, დემონსტრაციებისა და ექსცესების თავიდან აცილებას, "სიმშვიდის შენარჩუნება იმ დღის მოლოდინში, როდესაც რუსეთში სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმლური მიმდინარეობა აღდგებოდა"

მეფისნაცვალმა დაუყოვნებლივ მოიწვია პრესის წარმომადგენლები, თბილისის "საზოგადოების" დელეგაცია და ქვეყანაში შექმნილი ვითარება გააცნო. თათბირის მონაწილეებმა მეფისნაცვალს აღუთქვეს, რომ ცენტრალური მთავრობისა და კავკასიაში მეფისნაცვლის დირექტივების გასატარებლად გვერდში ამოუდგებოდნენ და ყველა ზომას მიიღებდნენ.

4 მარტს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან შეიკრიბა თბილისის საზოგადოების წარმომადგენელთა თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის აღმსრულებელი ჩოლოყაშვილი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ნიჟარაძე, თბილისის ქალაქის თავი ხატისოვი და მენშევიკური პარტიის ლიდერები ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი(გაზ. "თანამედროვე აზრი", 1917: № 52).

თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის წარმომადგენლები მეფისნაცვალმა დაამშვიდა და ურჩია უმტკივნეულოდ შეგუებოდნენ ახალ ვითარებას, რომელიც არსებითად არაფერს ცვლდა. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თავისი თავი ახალი მთავრობის ერთგულად აღიარა და საჯაროდ გამოაცხადა თავისი დანიშვნა უმაღლესი მთავარსარდალის თანამდებობაზე დროებითი მთვრობის მიერ. მენშევიკური პარტიების ლიდერებთან საუბარში მეფის სატრაპი აღნიშნავდა, რომ უკვე მიიღო ახალი ვითარების შესაბამისი ღონისძიებანი. აქვე გამოითქვა შეხედულება დროებითი მთავრობის დანიშნულებაზე. "მტერი უნდა დავამარცხოთ, მე მგონი თქვენც ეს უნდა გინდოდეთ. რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძებელი კრება გადაწყვეტს, სადაც მეც, როგორც ერთ მოქალაქეს, ადგილი მექნება. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ მე ძლიერ კმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, რადგან აქ არავითარი არეულობა არ არის. ბაქოსა და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს, ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ კავკასიაში დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა. მე იმედი მაქვს ეს კვლვაც ასე გაგრძელდება"(იქვე).

სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტს პეტროგრადიდან ამავე პარტიის წევრმა გოგიტა ფაღავამ დეპეშით აცნობა: ,,მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ნათესავებს და ნაცნობებსო". სოციალ-დემოკრატიულ წრეებში არცთუ უსაფუძვლოთ ხუმრობდნენ: ,,რევოლუცია ფოსტით მივიღეთო".

4 მარტიდან პრესაში დაიწყო პეტროგრადის მოვლენათა ფართოდ გაშუქება. ამბავი მოედო წარმოება-დაწესებულებებს, ქუჩას. თბილისი საზეიმო მიტინგებისა მანიფესტაციების ქალაქად იქცა. თუმცა თავდაპირველად ძველი სახელისუფლო აპარატი ინაჩუნებდა თავიანთ რწმუნებას, აგრეთვე ინარჩუნებდნენ ხელისუფლებას თბილისის და ქუთიაისის

გუბერნატორები (თბილისის გუბერნატორი მანდრიკა გადადგა 13 მარტს, ქუთაისისა – 14 მარტს. ასევე ძველებურად ბრძანებებსა და განკარგულებებს სცემდა სამეფისნაცვლო აპარატიც (Газ. "Тифлиский листок", 1917: № 52). კავკასიაში ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომის მანიფესტიც კი არ გამოქვეყნებულა. მეფის ბიძა დარწმუნებული იყო, რომ პეტროგრადში რევოლუციურ მოძრაობას მალე ჩაახშობდნენ და მონარქი თავის უფლებებში აღდგებოდა(გაზ. "თანამედროვე აზრი", 1917: № 51.). მისი აპარატი გუბერნატორებს ავალებდა ფარულად, ხალხის გაუღიზიანებლად, მოხერხებულად შეეზღუდათ საზეიმო განწყობილება, დაეცვათ "წესრიგი", საჭირო შემთხვევაში იარაღის გამოყენებითაც კი. მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ამიერკავკასიიდან გაწვეულ იქნა. ხალხი აღარ ემორჩილებოდა მეფის მთავრობის ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელსაც გავლენა ადრევე ჰქონდა დაკარგული. გუბერნატორები და მაზრის უფროსები იძულებული გახდნენ გადამდგარიყვნენ. ბევრგან ისინი დააპატიმრეს კიდეც. ხელისუფლებას ახალი ორგანოები – საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები დაეპატრონენ.

რუსეთში შექმნილმა რევოლუციურმა სიტუაციამ იმპერიაში მცხოვრები დაპყრობილი ხალხების გათავისუფლებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა. გაუქმდა კავკასიის სამეფისნაცვლო. მხარის მართვა-გამგეობა დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომს) ჩააბარა, რომელიც 8 თვის განმავლობაში ფუნქციონირებდა. იგი ჩამოყალიბდა 1917 წლის 9 მარტის დადგენილებით. ოზაკომის შემადგენლობაში შევიდნენ ამიერკავკასიაში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, კერძოდ ,,IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები კადეტები ვ. ხარლამოვი და მ. პაპაჯანოვი, მუსავატი ნ. ჯაფაროვი, სოციალ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო მენშევიკმა ა. ჩხენკელმა შეცვალა. ოზაკომს თავმჯდომარეობდა ვ. ხარლამოვი" (**საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.VI : 408.**).

ოზაკომი იყო ,,ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უმაღლესი ორგანო და დროებითი მთავრობის წარმომადგენელი" (ოზაკომს უშუალოდ ექვემდებარებოდა საგუბერნიო კომისრები). სამხედრო ხელისუფალთა ყველა განკარგულება, თუ იგი კავკასიას ეხებოდა, ოზაკომთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული(გაზ. ,,ზაკავკასკაია რეჩ" 1917: №66).

ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა 1917 წლის აპრილის დამდეგს ჩაატარეს საქართველოს პირველი და მეორე ინტერპარტიული კრება. ამ კრებას ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. ამ ინტერპარტიული კრების მონაწილე პარტიებმა 1917 წლის აგვისტოში თბილისში ჩამოაყალიბეს ეროვნული ხელისუფლების ორგანო – ,,საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო"-მის თავმჯდომარე აირჩიეს აკაკი ჩხენკელი. ეს იყო პირველი ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა მიმდინარეობისა და პოლიტიკური მრწამსის მქონე პოლიტიკური მოღვაწეები. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულმა საბჭომ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი არ დასმულა(http://ai-ia.info/online-arqivi/119-vaxtang-guruli). და ეს რაღაც ლოგიკურ ჩაჩოში ჯდებოდა, რამეთუ გააზრება იმისა, რომ ეს უზარმაზარი მონსტრი (რუსეთის

იმპერია) როდოსის კოლოსივით ჩამოიშლებოდა საკმაოდ ძნელად დასაჯერებელ თემას წარმოადგენდა. ამიტომაც პოლიტიკურ პარტიათა ერთ ნაწილში უფრო მიღებად და განსჯის თემას წარმოადგენდა ფართე პოლიტიკურ და ეკონომიკური ურთიერთობების ავტონომიის ისეთი პაკეტის მოთხოვნა, რომელიც მიღწევადი იქნებოდა. ცხადია აქვე მოიაზრებიდა კულტურული და სხვა ფასეულობებიც, რომელნიც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ ნორმას წარმოადგენდა.

1917 წლის 25 ოქტომბრის გადატრიალების შედეგად რუსეთი გამოეთიშა პირველ მსოფლიო ომს, რამაც ძალთა თანაფარდობა აშკარად გერმანელთა სასარგებლოდ დაარღვია. ამ ფაქტმა გარკვეულწილად განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების ომში ჩართვა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აშშ-ს მონაწილეობა ომის დამამთავრებელ ეტაპზე საქართველოსათვის განსაკუთრებულ ღირებულებას ნამდვილად არ წარმოადგენდა, ქართული პოლიტიკური საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ქვეყნის რუსეთის უღლისაგან განთავისუფლების საქმეში გერმანიის მხარდაჭერა უფრო მართებულად და მიზანშეწონილად მიაჩნდათ ვიდრე შორეული ამერიკის მომლოდინედ ყოფნა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ, რამდენადმე ხელსაყრელი სიტუაცია შექმნა საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებისათვის. სრულიად სამართლაიანად აღნიშნავს პროფესორი ვ. გურული, რომ დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას რამდენიმე ფაქტორი ართულებდა:

,,**პირველი.** მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი არ შეიძლებოდა იმის პროგნოზირება, თუ …როგორ განვითარდებოდა საომარი ოპერაციები მსოფლიო ომის ფრონტებზე. აქედან გამომდინარე არ შეიძლებოდა რეალური საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავება, …რის გარეშეც წარმოუდგენელი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა;

მეორე. რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები რუსეთის იმპერიის ნებისმიერი სამართალმემკვიდრისაგან (კონკრეტულ შემთხვევაში – რუსეთის დროებითი მთავრობისაგან) აუცილებლად მოითხოვდა კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში პოზიციების დაცვას. კავკასიის დაკარგვით რუსეთის სახელმწიფო კარგავდა პოზიციებს მახლობელ აღმოსავლეთში;

მესამე. კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში თავისი სასიცოცხლო ინტერესები ჰქონდა ორ ისლამურ სახელმწიფოს – თურქეთსა და ირანს. (ამათგან არც ერთი არ აპირებდა პოზიციების დათმობას).

მეოთხე. მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნები კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაში ვერ ერეოდნენ, ამ დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტად ვერ გამოდიოდნენ…

მეხუთე. მოვლენათა იდეალური განვითარების შემთხვევაშიც კი (რუსეთისა და თურქეთის ერთდროულად წასვლა ამიერკავკასიიდან) საქართველო დიდი სირთულეების წინაშე დგებოდა. დიდი სახელმწიფოების წასვლა რეგიონიდან დაუყოვნებლივ ბიძგს მისცემდა აქ მცხოვრები ერების ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხების დაპირისპირებას – პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ კონფლიქტებს, სეპარატისტულ მოძრაობებს…

მეექვსე. შეუძლებელი იყო იმის პროგნოზირებაც, თუ საბოლოოდ როგორ დამთავრდებოდა ომი, რა სახეს მიიღებდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, როგორი იქნებოდა ომის შემდგომი პოლიტიკური სიტუაცია''(გურული ვ., საქართველოს საგაერეო პოლიტიკური ორიერნტაცია (1917 წლის მარტი 1918 წლის მაისი), ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ. IX: 5-6.). ამ ვრცელი ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ ამიერკავკასიაში იმჟამად ურთულესი პოლიტიკური სიტუაცია სუფევდა. ფაქტობრივად, აქ ერთმანეთს გადაეჯაჭვა, როგორც შიდა, ასევე გეოპოლიტიკური წინააღმდეგობები, რასაც I მსოფლიო ომის დასკვნითი ეტაპის სირთულეებიც ემატებოდა.

1917 წლის რუსეთის იმპერიაში განვითარებული მძიმე პოლიტიკური ბატალიების შემდეგ საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში სოციალ-დემოკრატები მოექცნენ, მაგრამ თავიდან მათ არ დაუყენებიათ ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის საკითხი. ეს შეიძლება იმით ყოფილიყო გამოწვეული, რომ ამ დროისათვის საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს უჭირდათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. მართალია, რევოლუციამ რუსეთი აიძულა აქტიურ საგარეო პოლიტიკის გატარებაზე უარი ეთქვა, მაგრამ იგი ცდილობდა დაქსაქსული ამიერკავკასიის საქმეებში ჩარეულიყო.

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები ეროვნული დამოუკიდებლობისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ მხოლოდ ფართო ავტონომიით კმაყოფილდებოდნენ, რომლის დაკანონება და პრაქტიკული განხორციელება რუსეთის დროებითი მთავრობის დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა. ჩვენ ვიზიარებთ საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარის ისტორიკოს ზ. ავალიშვილის აზრს, რომ იმ ეტაპზე ,,არავის უფიქრია რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტა; ისევე როგორც არ უფიქრიათ ამაზე ესტონეთში, ლატვიასა და რუსეთის განაპირა მხარეებში. საქართველო ამ მხრივ შეიძლება ითქვას, სხვებთან ფეხშეწყობილი მიდიოდა''(ზ. ავალიშვილი , საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში :18.).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროფესორი შ. ვადაჭკორია ფიქრობს, რომ სწორედ სოციალ-დემოკრატების სწორმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ განაპირობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ,,საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სახელმწიფოებრიობის განახლება-სრულყოფა და ქართული სოციალ-დემოკრატია ერთმანეთისაგან განუყოფელია''. ჩვენ ნაწილობრივ ვეთანხმებით ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ამ საქმეში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წვლილის უგულვებელყოფა არამართებულია. თუმცაღა 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მხოლოდ ერთი პარტიისა და მისი ლიდერების დამსახურებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. აქ გასათვალისწინებელია ხელსაყრელი საერთაშორისო სიტუაცია, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა და სხვა პოლიტიკურ პარტიათა თუ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელთა თავდადებაც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველივე დღიდან საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში გამოკვეთილი იყო ოთხი ძირითადი მიმართულება: 1. ეროვნულ-დემოკრატიული, ანუ ეროვნული სუვერენიტეტის დაუყოვნებლივი აღდგენისათვის

მებრძოლი ძალა; 2. სოციალისტ-ფედერალისტური, ანუ ფართო ეროვნული ავტონომიის მომხრე, რომელიც ამ პროგრამის განხორციელებას დამფუძნებელ კრებას ანდობდა; 3. სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური), რომელსაც მთელი ყურადღება რევოლუციის განხორციელებაში იმპერიის ძალთა მთლიანობაზე გადაჰქონდა; 4. სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური), რომელიც ომში საკუთარი მთავრობის დამარცხებასა და სამოქალაქო ომში სოციალისტური რევოლუციის ლენინურ პროგრამას იზიარებდა (სურგულაძე პ., ქართული პარლამენტის სათავეებთან : 8-9.).

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ქართველ ინტელიგენტთა ის მცირე ჯგუფი, რომელიც 1917 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად ჩამოყალიბდა. ისინი აგრძელებდნენ უშუალოდ თერგდალეულთა პროგრამას და ურთიერთობის საფუძვლად 1783 წლის ტრაქტატს მიიჩნევდნენ. (გ. დეკანოზიშვილი, თ. სახოკია, პ. სურგულაძე, ლ. კერესელიძე, გ. მაჩაბელი და სხვები).

ეროვნულ-დემოკრატიული ძალების ერთ პარტიად გაერთიანების ცდას ჯერ კიდევ 1905 წელს ჰქონდა ადგილი. ამის შესახებ წერს მისი წევრი ალ. ასათიანი(ასათიანი ალ., ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I: 124-125.). ამ პარტიის სულისჩამდგმელისა და ლიდერის ილია ჭავჭავაძის ინიციატივით იმართებოდა შეკრებები და გადაწყდა პოლიტიკური პარტიის დაარსება „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ სახელწოდებით. შემუშავებულ იქნა და დაიბეჭდა პარტიის პროგრამა და წესდება, მაგრამ საქმე არსებითად ამას ვერ გასცდა.

საქართველოში ყველაზე დიდი მხარდაჭერა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკურ ფრთას ჰქონდა. 1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა იმპერიის დედაქალაქში დროებითი მთავრობა დაამხეს. 26 ოქტომბერს ზამთრის სასახლეში დააპატიმრეს დროებითი მთავრობის წევრები, მათ შორის იყო კერენსკიც. რუსეთში შეიქმნა საბჭოთა მთავრობა. ამ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიის de faqto მთავრობამ „ოზაკომმა“ დაკარგა თავისი დანიშნულება. გაიგეს რა ეს ანტანტის სახელმწიფოთა მისიებმა, მოინდომეს ამიერკავკასიაში ბოლშევიკური რუსეთისაგან დამოუკიდებელი მთავრობის შექმნა.

პეტროგრადში მომხდარი ოქტომბრის პოლიტიკური მოვლენები (თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია მას უკვე დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციად აღარ აფასებს – ნ.ზ.), იქცა სტიმულად, რამაც დააჩქარა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში ამიერკავკასიის ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია. ოქტომბრის გადატრიალება არ სცნო არცერთმა პოლიტიკურმა ძალამ, გარდა ბოლშევიკებისა. ფაქტობრივად, თბილისი გადაიქცა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცენტრად. პირველი პრაქტიკული ნაბიჯი ამ მხრივ იყო თბილისში „ამიერკავკასიის კომისარიატის“ შექმნა, რომელიც 1917 წლის 15 ნოემბერს განხორციელდა. ამიერკავკასიის კომისარიატში გაერთიანდნენ: ევგენი გეგეჭკორი (თავმჯდომარე), აკაკი ჩხენკელი (მენშევიკი), დონსკოი (ესერი), ნერუჩევი (ესერი), ხარჩიკიანი (დაშნაკი), ტერ-კაზარიანი (დაშნაკი), ხანხოისკი (მუსავატი), ხან-მამედოვი (მუსავატი), ალექსეევ-მესხიევი (ფედერალისტი) და სხვ. ამრიგად, ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი გახლდათ, ვინაიდან ახალი სამხარეო ორგანოს შექმნით ამიერკავკასია ოფი-

ციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს, ოღონდ მხოლოდ რუსეთის კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცხადდებოდა. ამიერკავკასიისათვის არ იყო ხელსაყრელი კავკასიის ფრონტის მოხსნა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ამას მოჰყოლოდა, თურქეთის მხრიდან აგრესიის გაძლიერება, და ამიერკავკასიის ქვეყნების ძალდატანებით ოკუპაცია.

პოლიტიკოსები დიდ იმედებს ამყარებდნენ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე. სწამდათ, რომ ეს კრება ხელში აიღებდა ძალაუფლებას და ამით რუსეთი დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას დაადგებოდა, მაგრამ ეს იმედებიც არ გამართლდა და რუსეთის დამფუძნებელი კრება ბოლშევიკთა მიერ ცემა-ტყეპით იქნა დათხოვნილი. მის საპასუხოდ, 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა მოიწვია ამიერკავკასიის სეიმი. იგი დაკომპლექტებულ იქნა რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებისაგან. სეიმის თავმჯდომარედ აურჩიეს ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ამიერკავკასიის სეიმმა მკაფიოდ გაუსვა ხაზი ამიერკავკასიის გამოყოფას საბჭოთა რუსეთისაგან, თუმც იურიდიულად ეს მოგვიანებით იქნა გაფორმებული(სილაგაძე ა., გურული ვ., საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა: 35; სურგულაძე პ., ქართული პარლამენტის სათავეებთან : 12.).

დასასრულს განვმეორდებით ცნობილი ისტორიკოსის მიხაილ(მაიკლ) კარპოვიჩის სიტყვებში, რომელიც მან მიუძღვნა გასული საუკუნის შუა ხანებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ისტორიკოსის ფირუზ ქაზემზადეს ნაშრომს "ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921". „ახალი დროების ვითარება ისეთია, ამიერკავკასია, შესაძლოა, როდისმე კვლავ გადაიქცეს საერთაშორისო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვან სცენად, ამიტომ წინამდებარე გამოცემა მხოლოდ ისტორიული კვლევის თვალსაზრისით როდია საინტერესო. ამ წიგნში მოთხრობილი ისტორია იმ სირთულეებს გამოკვეთს, რომლებიც, შესაძლოა, კვლავ პრობლემად წარმოჩნდეს, იმ ხაფანგებს ავლენს, რომელთათვის მომავალში გვერდია ასავლელი და ეს ერთნაირად ეხება როგორც რეგიონში მცხოვრებ ერებს, რომელთაც სამომავლოდ ერთმანეთთან ურთიერთობები ექნებათ ასაშენებელი, ისე იმ უცხო სახელმწიფოებს, რომლებიც ამ პროცესებზე შეეცდებიან გავლენის მოხდენას". ეს საოცრად კარგი შეფასებაა, რომელიც პრაქტიკულად თანადროულ ვითარებასაც კარგად ესადაგება. დღეს ისტორია მეორდება და ამიერკავკასია არის არამხოლოდ რეგიონული პოლიტიკის ცენტრალური ღერძი, არამედ ევრაზიული პოლიტიკის უძირითადესი რგოლი.

ბიბლიოგრაფია

[1] ავალიშვილი ზ. (2011). საქართველოს დამოუკიდებლობა 918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი;
[2] ასათიანი ალ.(1928). ძველი და ახალი მემკვიდრეობა, წიგნი I, პარიზი;
[3] გურული ვ.(2022), საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიერნტაცია (1917 წლის მარტი 1918 წლის მაისი), ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ. IX, თბილისი.
[4] ვადაჭკორია შ.(2006), საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბილისი;
[5] ზოსიძე ნ. (1995), პოლიტიკური ვითარება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი.

[6] ლენინი ვ,ი., (1969) თხზ., ტ. 24, თბილისი;
[7] საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.VI(1972), თბილისი;
[8] სურგულაძე პ.(1991). ქართული პარლამენტის სათავეებთან, თბილისი;
[9] სილაგაძე ა., გურული ვ.(1998). საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, თბილისი;
[10] Красный архив, (1927), т. XXI, Москва;
[11] (გაზ. "თანამედროვე აზრი", (1917), № 52;
[12] გაზ. ,,ზაკავკასკაია რეჩ" 1917: №66
[13] http://ai-ia.info/online-arqivi/119-vaxtang-guruli